ანა რაზმაძე

სახელმწიფო მართვის სკოლა

კოიმბრას უნივერსიტეტი

,,2024 წლის გაზაფხულის სემესტრში, მომეცა შანსი, ერასმუს+ გაცვლითი პროგრამით მესწავლა პორტუგალიაში, კოიმბრას უნივერსიტეტში. ამ გამოცდილებამ უდავოდ მომცა როგორც პიროვნული, ასევე, აკადემიური განვითარების შესაძლებლობა. ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოდგა პორტუგალიური კულტურის, ენის, ღირებულებების უფრო სიღრმისეულად შესწავლა.

თავად კოიმბრას უნივერსიტეტიც კი კულტურულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ 1290 წელს დაარსდა, სადაც ყოველწლიურად უამრავი გაცვლითი პროგრამის სტუდენტი იყრის თავს. აღსანიშნავია, ასევე, ზოგადად, პორტუგალიელი ხალხის გულთბილი დამოკიდებულება და კეთილგანწყობა უცხოელი მოქალაქეების მიმართ.

ამასთან, გაცვლითი პროგრამის ერთ-ერთ უდიდეს პრივილეგიას წარმოადგენს მოგზაურობაც. გარდა იმისა, რომ შევძელი პორტუგალიის ულამაზესი მხარეების, ქალაქების ნახვა, ასევე, მომეცა ევროპის სხვა ქვეყნებში მოგზაურობის შესაძლებლობაც, რამაც მომცა ევროპული ღირებულებების კიდევ უფრო სიღრმისეულად შესწავლის საშუალება.

საბოლოო ჯამში, მინდა ვთქვა, რომ გაცვლითი პროგრამები უდავოდ წარმოადგენს კულტურული ინტერაქციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებას, რაც გაძლევს შანს შეიძინო ახალი მეგობრები, წარმოადგინო შენი ქვეყანა, გააზიარო შეხედულებები, გაიღრმაო კულტურული და აკადემიური ცოდნა. გეძლევა შანსი შექმნა სწავლისა და გართობის საუკეთესო კომბინაცია, სადაც თავისუფალ დროს გაატარებ ადამიანებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან, მსგავსი ინტერესებით. ეს არის შესაძლებლობა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ, რადგანაც იგი უდავოდ გახდება თქვენი საუკეთესო სტუდენტური გამოცდილება.''